ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრის

ლევან აბაშიძის

ანგარიში

2023 წლის ანგარიში

საქმიანობის შესახებ ანგარიში მოიცავს 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდს.

- მე-7 მოწვევის საკრებულოში გახლავართ ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო''-ს წევრი; ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე;
- ასევე, ჯანრმთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიისა და გარემოს დაცვის კომისიის წევრი, სადაც აქტიურად ვარ ჩართული მათ მუშაობასა და სხვადასხვა აქტივობებში.

- **საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობა:**

  ჩემთვის, როგორც საკრებულოს წევრისთვის, დიდი პატივი და ამავე დროს პასუხისმგებლობაა, მონაწილეობა მივიღო დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში.

  საანგარიშო წლის განმავლობაში მხარი დავუჭირეთ სატრანსპორტო, სოციალური, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის და სხვ. საკითხებს, რომელიც მიმართულია დედაქალაქში მაცხოვრებელი თითოეული მოქალაქის კეთილდღეობისკენ.

საანგარიშო წლის განმავლობაში მოწვეულ იქნა საკრებულოს 15 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 615 განკარგულება და 105 დადგენილება.
(განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.sakrebulo.gov.ge

- ### ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე

- ფრაქციას ჩატარებული აქვს 18 სხდომა, ჩემი მონაწილეობით 16, სადაც განვიხილეთ და სხვადასხვა სახის რეკომენდაციები შევიმუშავეთ 26 საკითხზე.

ფრაქციის სხდომის ფორმატში, დეტალურად განვიხილავთ დედაქალაქში მიმდინარე პროცსებს. ვმსჯელობთ სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებსა და განსახორციელებელ გეგმებზე, შევიმუშავებთ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, მათ შორის, დედაქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტის - ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

- აღსანიშნავია, რომ დედაქალაქის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება და იხარჯება ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევების მოსაგვარებლად და მოქალაქეების ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. ქალაქში დაწყებულია მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში მიმდინარეობს ცენტრალური ქუჩების სრული რეაბილიტაცია, იცვლება სანიაღვრე ქსელები, ბორდიურები და მონტაჟდება ევროპული სტანდარტების შესაბამისი გარეგანათება.
- თბილისი, როგორც ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ევროპაში, მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებითა და ღირსშესანიშნაობებით. ბიუჯეტში გათვალისწინებულია მთელი რიგი პროგრამები მათ რესტავრაცია-კონსერვაციაზე. ასევე, ზოგიერთ რაიონში წარმატებით დაინერგა ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამა.
- სატრანსპორტო რეფორმის შედეგად, მიმდინარე წელს სრულად ჩანაცვლდა ძველი მუნიციპალური ტრანსპორტი ახალი ,თანამედროვე და კომფორტული

ავტობუსებითა და სამარშუტო ტაქსებით, მნიშვნელოვნად შემცირებულია მგზავრთა მოცდის დრო და გაზრდილია მგზავრთა ნაკადი.

- აქტიურად მიმდინარეობს საცხოვრებელი ფართების გადაცემის პროცესი სიმბოლურ ფასად და მიმდინარე წელს რამოდენიმე ასეული ოჯახი გახდა მათ სარგებლობაში არსებული ფართების კანონიერი მფლობელი.
- თბილისში არსებული დაუსრულებელი მშენებლობების დასრულების მიზნით, განვიხილეთ და დავამტკიცეთ ხელშემწყობი ღონისძიებები. წარმოდგენილი პაკეტის საფუძველზე, სამშენებლო პროცესის დასრულებისთანავე ასეულობით ოჯახი დაკმყოფილდება და მიიღებს კუთვნილ ბინას.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია - კომისიის წევრი

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა 15 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 25 საკითხი ჩემი მონაწილეობით. შევისწავლეთ და რეკომენდაციები მოვამზადეთ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზრდილია სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსების ხვედრითი წილი 144 მილიონ 160 ათასი ლარით, მათ შორის ასიგნებები: დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები, ომის ვეტერანთა დახმარება. 2023 წელს დაემატა ასევე შემდეგი პროგრამები და ქვეპროგრამები: იზრდება დაავადებათა სკრინინგის, ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამების, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის დაფინანსება.

- აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარ ბავშვთა რაოდენობა 300-ით იზრდება, სულ 1850, ვაუჩერი კი 450 ლარამდე.
- უმნიშვნელოვანესია ვახსენოთ პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება: ღვიძლის ტრანსპლანტაცია დაფინანსდება 100%-ით, შესაბამისად, თბილისის მერიაც მას სრულად დააფინანსებს.
- სახსრების ენდოპროთეზირება დაფინანსდება 5000 ლარის ოდენობით.
- 100%-ით დაუფინანსდებათ გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტები და კვლევები სოციალურად დაუცველ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, ამ სტატუსის არმქონე დანარჩენ მოქალაქეებს კი საჭიროებისამებრ 80%-ით.



➢ გარემოს დაცვის კომისია - კომისიის წევრი

საანგარიში პერიოდში ჩატარდა 17 სხდომა, ჩემი მონაწილეობით 16, სადაც განხილულ იქნა 92 საკითხი.

კომისიის სხდომის ფორმატში, გამვართეთ არაერთი შეხვედრა მუნიციპალური სამსახურების წარმოამადგენლებთან, გარემოს დაცვის მიმართულებით მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, მხარდაჭერილ იქნა რიგი მნიშვნელოვანი საკითხები:

- „განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ინიციატივის ფარგლებში ახალი შეთანხმების ხელმოწერა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ საკრებულოს პროექტი.
- ასევე განვიხილეთ საკრებულოს დადგენილების სხვადასხვა პროექტი, რომელიც ეხებოდა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდებაში, თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის სანიტარული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესში, მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციის და თბილისის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის, მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესში ცვლილებების შეტანას.

მოვისმინეთ მუნიციპალური სამსახურის საქმიანობის ანგარიში, კერძოდ:

- ქალაქ თბილისის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2022 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში;



- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისია -

კომისიის წევრი

კომისია განიხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის საკითხებს.

საანგარიშო წლის მანძილზე დავესწარი 4 სხდომას, რომლის ფარგლებშიც, კომისიამ განიხილა საერთო ჯამში 1550 ოჯახისა და 4618 პირის უსახლკაროდ რეგისტრაციის საკითხი. მათგან დადებითი რეკომენდაცია გაიცა 111 ოჯახსა და 74 პირზე.

სრულყოფილი განხილვისთვის კომისია იძიებს ინფორმაციას მოქალაქეების ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, ამისთვის კომისია მიმართავს **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს** (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის, მინიჭებული ქულისა და სტატუსის (დევნილი, შშმ, ვეტერანი, სოციალურად დაუცველი (მისამართი, ოჯახის წევრები) შესახებ; შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე – www.worknet.gov.ge „სამუშაოს მაძიებლად“ რეგისტრაციის შესახებ.), **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს** (პირის მიერ საკუთრებაში მექანიკური სატრანსპორტო საშუალების არსებობის შესახებ; პირის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ.), **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს** (უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში პირის რეგისტრირებული შემოსავლის შესახებ), **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს** (უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში პირის მოქალაქეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ; პირის უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების არსებობის შესახებ.), **ბანკებს** (პირების ანგარიშებზე ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დარიცხული და გაცემული თანხების შესახებ.).

უსახლკაროს სტატუსის მინიჭების შემდეგ, კომისია, რიგითობის განსაზღვრის მიზნით, ოჯახებს ანიჭებს ქულებს, შესაბამისი წესის მიხედვით. შემდგომში, რესურსის შესაბამისად, გასცემს რეკომენდაციას ოჯახის ფართით დაკმაყოფილების შესახებ.

➢ საანგარიშო წლის პერიოდში განხორციელებული აქტივობები

- მიმდინარე წლის პერიოდში ჩატარებული კომისიებისა და ფრაქციის სხდომების პარალელურად, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის ფარგლებში, ვეწვიეთ სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებს, გავმართეთ შეხვედრები, შევხვდით საქართველოს უსინათლოთა კავშირის წევრებს, ვისაუბრეთ მუნიციპალურ ქვეპროგრამებზე, უსინათლოთა წინაშე მდგარ გამოწვევებზე. დავათვალიერეთ SOS ბავშვთა სოფლის ბენეფიციართა საცხოვრებელი გარემო. შევხვდით ცენტრ „მშობელთა ხიდის“ პარაორკესტრის წევრებს, გავეცანით მათ ნამუშევრებს, ვისაუბრეთ არტ-თერაპიის მნიშვნელობაზე. მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოს ცნობირების ამაღლების თვესთან დაკავშირებით ვეწვიეთ ეროვნულ სკრინინგ ცენტრს, დავათვალიერეთ არსებული გარემო. მიმდინარე წლის პერიოდში მოვინახულეთ ასევე ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი „რეჰაბი“ და ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა.
- ხოლო გარემოს დაცვის კომისიის საქმიანობის ფარგლებში ვუმანსპინძლეთ ღონისძიებას მიუსაფარ ცხოველთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.
- ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების თავმჯდომარე ლევან არველაძესთან ერთად დავესწარი ლონდონის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას.

ანგარიში 2023